საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/72

ქ. ბათუმი 05 ივლისი, 2023 წ.

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ზოგიერთი დოქტორანტისათვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“ დამტკიცების შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერის (№27-05/07, 26.06.2023) და ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 5 23 0000812482, 03.07.2023) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბსუ–ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ ქვემოთ მითითებულ დოქტორანტებს გაუხანგრძლივდეთ სწავლის ვადა ორი დამატებითი სემესტრით, **2023–2024 სასწავლო წელს:**

ა) **ნინო მანველიძე** (ბსუ-ში ჩარიცხული გარე მობილობით - ბრძანება №01-08/59, 25.02.2022);

ბ) **თენგიზ ვადაჭკორია** (ბსუ-ში ჩარიცხული - ბრძანებთ №01-09/541. 28.09.2016; შიდა მობილობის ბრძანება №01-08/420 . 21.09.2020).

2. დაევალოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ოფისს უზრუნველყოს წინამდებარე დადგენილების შესაბამისი დოქტორანტებისა და მათი სამეცნიერო ხელმძღვანელებისათვის დაგზავნა, ასევე ამ დადგენილების პირველ პუნქტში მითითებული დოქტორანტების პირად საქმეებში განთავსება.

3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), შესაბამის ფაკულტეტს, შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარესა და მდივანს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს (დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურს) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**